სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის

2025 წლის საქმიანობის ანგარიში

სარჩევი

ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლება 4

ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პირველადი რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა 4

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დროებითი მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნა 4

ზოგადი განათლება 4

ახალი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (eSchool) 4

პირველკლასელთა რეგისტრაცია 5

ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფორმირება და საბაზო/სრული ზოგადი განათლების ატესტატების/დუბლიკატების გაცემა 6

სახელობო განათლების სერტიფიკატებისა და საშუალო პროფესიული დიპლომის დუბლიკატების გაცემა 6

ექსტერნატის გამოცდების უზრუნველყოფა 6

საჯარო სკოლის მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება 7

სკოლის ელექტრონული ჟურნალი 7

სკოლების ვებგვერდი - skolebi.emis.ge 7

სწავლა-სწავლების მართვის საინფორმაციო სისტემა LMS 7

საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილები რეგისტრაცია 8

საჯარო სკოლის დირექტორთა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ პირთა უფლებამოსილების რეგისტრაცია 8

პროფესიული განათლება 9

პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა 9

პროფესიული განათლების დაფინანსება 10

პროფესიულ პროგრამაზე მიღება და რეგისტრაცია 10

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების სისტემის ადმინისტრირება 10

უმაღლესი განათლება 11

უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრირება და გაუმჯობესება 11

სტუდენტთა მობილობა 12

უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების გაანგარიშების ადმინისტრირება და დაფინანსების მინიჭების პროცესის მხარდაჭერა 13

განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების/მიღებული განათლების აღიარების პროცესის მხარდაჭერა და ციფრული არქივი 14

სტატისტიკა 15

კომპიუტერული სისტემები და ქსელები 17

ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოება 18

სხვადასხვა სამუშაო პროცესები 19

ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლება

ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პირველადი რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, შეიქმნა დაწესებულებათა პირველადი რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობითაც პირველად აღირიცხა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი როგორც კერძო და საჯარო, ასევე - ინდივიდუალური მეწარმის სტატუსით მოქმედი დაწესებულებები. რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე დაიგეგმა დაწესებულებების ავტორიზაციის განრიგი. ამასთან, სისტემაში დღემდე გრძელდება ინფორმაციის შეგროვება მოქმედი დაწესებულებების მიერ საქმიანობის განხორციელების ადგილის (ფილიალი) დამატებისა ან შეცვლის შესახებ.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დროებითი მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნა

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დროებითი მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 30 აგვისტოს N337 დადგენილების შესაბამისად, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას დაევალა 2026 წლის მარტისათვის დროებითი მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნა. აღნიშნული სისტემის მეშვეობით განხორციელდება რიგი პროცესების ელექტრონული მართვა და აღნიშნული სისტემის განვითარება მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის - ინოვაცია, ინკლუზია და ხარისხი – საქართველო (Georgia I2Q - Innovation, Inclusion and Quality Project) ფარგლებში წარიმართება. საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა სკოლამდელი განათლების საინფორმაციო სისტემის შექმნა, ახალი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) განვითარების ფარგლებში და განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

- განხილულ იქნა ადრეული და სკოლამდელი განათლების მონაცემთა ანგარიშგების სისტემის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონთან შესაბამისობა;
- შეთანხმდა რეესტრის წესში ცვლილებების პროექტი, რათა მონაცემთა შეგროვება და ასახვა სრულად შეესაბამებოდეს პერსონალური მონაცემების დაცვის რეგულაციებს;
- განისაზღვრა მშობლის მიერ ბავშვის ელექტრონული რეგისტრაციისას კონფიდენციალობის პოლიტიკაზე დათანხმების ჩანაწერი;
- განისაზღვრა სისტემაში მონაცემების შევსებაზე პასუხისმგებელი პირები;
- განისაზღვრა სამომავლოდ გადასაჭრელი საკითები და შეთანხმების მექანიზმები.

ზოგადი განათლება

ახალი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (ESCHOOL)

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის - ინოვაცია, ინკლუზია და ხარისხი – საქართველო (Georgia I2Q - Innovation, Inclusion and Quality Project, კომპონენტი 2) ფარგლებში, საანგარიშო

პერიოდში გრძელდებოდა ახალი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) შექმნა. სისტემა თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყოფს მონაცემების ელექტრონულად შეგროვებას, შენახვას, დამუშავებასა და ანალიზს, ასევე ზოგადი განათლების პროცესების ავტომატიზაციას.

2025 წელს პროექტის განმახორციელებელმა კომპანიამ „ორიენტ-ლოჯიკმა", განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასა და საკოორდინაციო ჯგუფთან შეათანხმა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ანგარიშები, რომლის თანახმადაც დადასტურდა შემდეგი სამუშაოების განხორციელება:

- თანამედროვე საწარმოო არქიტექტურის შექმნის კუთხით შემუშავდა მიკროსერვისულ მიდგომებზე დაფუძნებული საწარმოო არქიტექტურა (ვერსია 1.5), განისაზღვრა დომენებისა და მონაცემთა მოდელები. ტექნოლოგიური სტეკი და არქიტექტურა გაიმართა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის არქიტექტურასთან შესაბამისობაში, კერძოდ Kubernetes-ს, Open-Source Camel და Kafka, Open-Source Keycloak ტექნოლოგიის გამოყენებით;
- ბიზნეს პროცესების ანალიზისა და მოთხოვნების შეგროვების საფუძველზე, შედგა eschool-ის მოდულების განვითარების საგზაო რუკა;
- არსებული მოდულების განახლებისა და ახალი მოდულების განვითარების ნაწილში განახლდა და დაზუსტდა მოდულების სტრუქტურა. შემუშავდა და დაიტესტა პირველი კონტეინიზირებული მოდული Core, რომელიც მოემსახურება eSchool, eVet და eUni სისტემებს. Core მოდულში შედის: ცნობარები, განათლების ჩარჩოები, კალენდარი, ფიზიკური და იურიდიული პირები, მომხმარებელთა ქმედებების ლოგირება და ინტეგრაცია;
- შეფასდა მონაცემთა დომენების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა. განხორციელდა მონაცემთა მოდელების რესტრუქტურიზაცია, განახლდა ERD და SQL სქემები და მომზადდა შესაბამისი დოკუმენტები;
- Core მოდულის გაშვებისთვის EMIS-ის ინფრასტრუქტურაში აეწყო სატესტო გარემო და ჩატარდა შესაბამისი მრავალდონიანი ტესტირება. ტექნიკური დოკუმენტაცია მომზადდა DevOps, Back-end და Front-end-ისთვის.

ახალი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (eSchool) წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების პროცესების ეფექტიანი ინფორმაციული მხარდაჭერის ინსტრუმენტს და უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის რიგი სერვისების ონლაინ რეჟიმში ხელმისაწვდომობას, მათ შორის: მოსწავლეთა მობილობასა და სკოლაში სხვადასხვა განაცხადის ელექტრონულად წარდგენას და ა.შ.

პირველკლასელთა რეგისტრაცია

საჯარო სკოლებში პირველკლასელთა რეგისტრაციისთვის, უზრუნველყოფილ იქნა ლიმიტების დაანგარიშება და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს ამის მიხედვით მიეცათ შესაძლებლობა გამოეცხადებინათ პირველკლასელი მოსწავლეების მიღება, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების. პირველკლასელთა რეგისტრაცია წარიმართა 4 ეტაპად. 2025-2026 სასწავლო წლისთვის საჯარო და კერძო სკოლის პირველ კლასში ჯამში დარეგისტრირდა 47 630 მოსწავლე, მათ შორის, საჯარო სკოლაში 40 972 მოსწავლე, ხოლო კერძოში - 6 658.

ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფორმირება და საბაზო/სრული ზოგადი განათლების ატესტატების/დუბლიკატების გაცემა

2024-2025 სასწავლო წლის სრული ზოგადი განათლების კურსდამთავრებულთათვის ატესტატების გაცემის მიზნით, დამუშავდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია და აისახა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში. აღნიშნულ ბაზაში აღირიცხა სრული ზოგადი განათლების ატესტატის უფლებამოპოვებული 42 644 მოსწავლე, ხოლო საბაზო ზოგადი განათლების ატესტატის მიღების უფლება მოიპოვა 387 მოსწავლემ, რომლებმაც შესაბამისი საფეხური ექსტერნატის ფორმით დაძლიეს.

რანჟირების დოკუმენტის დამტკიცების მიზნით, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, მიეწოდა ინფორმაცია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრირებული იმ აბიტურიენტების შესახებ, რომელთაც მოპოვებული ჰქონდათ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მიღების უფლება.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაეცა ახალი საბაზო და სრული ზოგადი განათლების ატესტატების ბლანკები. ამასთან, საანგარიშო წლის განმავლობაში განხორციელდა შესაბამისი წარმოება იმ პირებთან დაკავშირებით, რომლებმაც ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა 2011 წლამდე დაასრულეს და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართეს საბაზო ან/და სრული ზოგადი განათლების ატესტატის დუბლიკატის გაცემის მოთხოვნით. ჯამში განხილულ იქნა 2 837 განაცხადი და განხორციელდა შესაბამისი რეაგირება.

ამავე პერიოდში გაგრძელდა საბაზო ან/და სრული ზოგადი განათლების ატესტატის ელექტრონული ასლის გაცემის პროცესი, რომელიც წარმოადგენს ორიგინალი დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ელექტრონულ დოკუმენტს.

სახელობო განათლების სერტიფიკატებისა და საშუალო პროფესიული დიპლომის დუბლიკატების გაცემა

საანგარიშო წლის განმავლობაში, დაინტერესებული პირების განაცხადების საფუძველზე, განხორციელდა შესაბამისი წარმოება იმ პირებთან დაკავშირებით, რომელთაც 2009-2010 სასწავლო წლის ჩათვლით დაასრულეს დაწყებითი პროფესიული, ხოლო 2009-2010 სასწავლო წლის დაწყებამდე - საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და დაზიანებული ან დაკარგული ჰქონდათ შესაბამისი დიპლომი. შედეგად, გაიცა 29 სახელობო განათლების სერტიფიკატის და 131 საშუალო პროფესიული განათლების დიპლომის დუბლიკატი.

ექსტერნატის გამოცდების უზრუნველყოფა

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო მე-12 კლასში შემავალი საგნების - ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, ინგლისური ენა, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება - ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდების ცენტრალიზებული ჩატარება ელექტრონული ფორმით. აღნიშნული პროცესის

ფარგლებში, საგამოცდო ცენტრებად წინასწარ შეირჩა სკოლები, უზრუნველყოფილ იქნა ინტერნეტკავშირი, მუდლის სისტემაში განხორციელდა ექსტერნების რეგისტრაცია და მომხმარებლების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრებს. ასევე, საგამოცდო ტესტები აისახა მუდლის სისტემაში. ხოლო ექსტერნატის გამოცდების დასრულების შემდგომ, შედეგები, საგანმანათლებლო რესურსცენტრებისათვის გაცნობისა და შემდგომი რეაგირების მიზნით, წარედგინა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს. აღნიშნულ გამოცდებზე ჯამში დარეგისტრირდა 1 202 მოსწავლე.

საჯარო სკოლის მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება

მასწავლებელთა ახალი სახელფასო პოლიტიკის ფარგლებში, არაქართულენოვანი სექტორის მასწავლებლის მიერ ჩასაბარებელი გამოცდების ნაწილში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) განახლდა შრომის ანაზღაურების ალგორითმი.

სკოლის ელექტრონული ჟურნალი

2025 წელს შეიქმნა სკოლის ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაცია, რომლის მიზანია ელექტრონული ჟურნალით სარგებლობის გამარტივება და მშობელთა ჩართულობის გაუმჯობესება. აპლიკაცია მასწავლებლებს საშუალებას აძლევს საკუთარი სმარტფონებიდან აღრიცხონ მოსწავლეთა დასწრება და შეფასებები. ხოლო მშობლებს, მყისიერად მიიღონ ინფორმაცია საკუთარი შვილის/შვილების სასწავლო აქტივობების შესახებ, შეტყობინების სახით. ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაციის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით შემუშავდა შესაბამისი ტექსტური ინსტრუქციები და ჩატარდა ვებინარები.

სკოლების ვებგვერდი - SKOLEBI.EMIS.GE

2023 წელს დაინერგა ერთიანი პორტალი - skolebi.emis.ge, რომელიც პირველ ეტაპზე მოიცავს ყველა საჯარო სკოლას, ხოლო შემდგომ ეტაპზე კერძო სკოლების ჩართვასაც ითვალისწინებს. პორტალი უზრუნველყოფს სკოლების შესახებ ინფორმაციის ერთიან სივრცეში განათავსებას და მომხმარებელს, მათ შორის, მშობლებს, აძლევს შესაძლებლობას გაეცნონ სკოლების აქტივობებს. პლატფორმა ასევე გამოიყენება სკოლების ავტორიზაციის მიზნებისთვის. საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა პორტალის ფუნქციონალის განვითარება, ტექნიკური მხარდაჭერა და მომხმარებლებისთვის შესაბამისი კონსულტაციების გაწევა.

სწავლა-სწავლების მართვის საინფორმაციო სისტემა LMS

მსოფლიო ბანკის დაფინანსებული პროექტის - ინოვაცია, ინკლუზია და ხარისხი – საქართველო (Georgia I2Q - Innovation, Inclusion and Quality Project, კომპონენტი 4) ფარგლებში საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა სკოლებისთვის სწავლა-სწავლების მართვის საინფორმაციო სისტემის (LMS) შექმნა. სისტემა მიზნად ისახავს სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას და მასწავლებლებისთვის სასწავლო რესურსების შექმნისა და გამოყენების მხარდაჭერას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა LMS პლატფორმის კონცეფციის ჩამოყალიბება და შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვა. ამასთან, მიმდინარეობდა Edsby პლატფორმის ფუნქციონალის განვითარება და ლოკალიზაცია, კერძოდ:

- განხორციელდა პლატფორმის ფუნქციონალის დაახლოებით 40%-ის განვითარება;
- შესრულდა ინტერფეისის ქართულ ენაზე ადაპტაცია;
- დაემატა შეფასების მოდული, რომელიც მოიცავს როგორც განმავითარებელ, ისე შემაჯამებელ კომპონენტებს;
- განხორციელდა როლებზე დაფუძნებული წვდომის მართვის სისტემის იმპლემენტაცია;
- შეიქმნა ვირტუალურ მონაცემებზე დაფუძნებული ტესტირების კომპონენტები;
- მომზადდა ონლაინ სწავლის მოდულისა და ტრენერთა ტრენინგის (Training of Trainers – ToT) საწყისი ვერსიები.

საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილები რეგისტრაცია

სამწლიანი უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო, 2025 წლის ივლისში საქართველოს მასშტაბით თითქმის ყველა საჯარო სკოლაში ჩატარდა სამეურვეო საბჭოს წევრთა (მასწავლებლები/მშობლები) არჩევნები. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყო არჩევნების ელექტრონულად წარმართვა, რაც მოიცავდა, ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) შესაბამის მოდულში არჩევნების ელექტრონულად გამოცხადებას, სკოლების მიერ საარჩევნო კანდიდატებისა და არჩევნების შედეგების ასახვის მონიტორინგს. შესაბამისად, ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) განხორციელდა, კანონმდებლობის დადგენილი წესით არჩეული წევრების უფლებამოსილების რეგისტრაცია.

საანგარიშო პერიოდში ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool), ყოველდღიურად მიმდინარეობს სამეურვეო საბჭოს წევრების უფლებამოსილების რეგისტრაცია და მათი უფლებამოსილების შეწყვეტა, სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ხორციელდება საჯარო სკოლების მიერ, ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის შესწავლა, მოთხოვნის დადასტურება ან ხარვეზის გამოსწორების დავალების გაცემა.

საჯარო სკოლის დირექტორთა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ პირთა უფლებამოსილების რეგისტრაცია

საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფილ იქნა საჯარო სკოლის დირექტორის, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის და, საჭიროების შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილის რეგისტრაცია. იმ შემთხვევებში, როდესაც მოადგილის პოზიცია არ არსებობდა, რეგისტრაცია შეეხო სკოლის სხვა თანამშრომელს. პროცესის ფარგლებში, ასევე განხორციელდა შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემაც.

პროფესიული განათლება

პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

2021 წლის 17 თებერვლის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №11/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების“ შესაბამისად სისტემა უზრუნველყოფდა დაწესებულებების, პროგრამების, პროფესიული სტუდენტებისა და დასაქმებული პერსონალის მონაცემთა წარმოებას და პროფესიულ სტუდენტთა მობილობის პროცესის მხარდაჭერას. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის განკუთვნილი სახელმწიფო სერვისებისა და პროექტების მხარდაჭერა, მათ შორის, დაზღვევის ბენეფიციარი სტუდენტებისა და სამგზავრო ბარათების მონაცემების მიწოდება.

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2022 წლის 11 თებერვლის N1.1/13 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული ინფორმაციის მონიტორინგის წესის“ შესაბამისად განხორციელდა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგები გაეგზავნა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომელთაც განესაზღვრათ გონივრული ვადა გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანების შესაბამისად, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემებში ასახულ იქნა ახალი პროფესიული კვალიფიკაციები.

საანგარიშო პერიოდში მართვის სისტემის ტექნიკური მხარდაჭერით, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, შემუშავებულ იქნა პროფესიული მოდულები და საგანმანათლებლო სტანდარტები. პილოტირების რეჟიმში მოქმედებს პროფესიული განათლების ელექტრონული ჟურნალი (onlinevet.emis.ge), რომლის ადმინისტირება განხორციელდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების ელექტორონული ჟურნალის ადმინისტრირების წესი და პირობები“ მიხედვით. ჟურნალის შემდგომი განვითარებისა და ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით დაგეგმილია შესაბამისი ღონისძიებები.

პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მეშვეობით 12 საგანმანათლებლო დაწესებულებას/იურიდიულ პირს აქვს მოპოვებული არაფორმალური განათლების აღიარების უფლება, ხოლო სისტემის შექმნის დღიდან 120 მაძიებელთან განხორციელდა კონსულტირების პროცესი, არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით.

„ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 8 ივნისის N113/ნ ბრძანებაში შესული ცვლილების თანახმად, იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის მიზნით, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას შორის აეწყო შესაბამისი სერვისი. ამ დროისათვის ინტეგრირებული

პროგრამების კურსდამთავრებულებზე გაცემულია 45 სრული ზოგადი განათლების დოკუმენტი - ატესტატი.

პროფესიული განათლების დაფინანსება

2025 წლის შესაბამის კვარტლებში ვაუჩერული დაფინანსების მოდულის ფარგლებში, განხორციელდა თანხის გაანგარიშება პირველადი და კვარტლური გადარიცხვისთვის, კონკრეტული თარიღის მდგომარეობისა და აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით. მონაცემები სისტემიდან ფორმირებულ იქნა და მინისტრის ბრძანებით დადგენილი ფორმით წარედგინა სამინისტროს. საანგარიშო პერიოდში კოორდინირებულ იქნა მოწყვლადი ჯგუფების გაზრდილი დაფინანსების გაანგარიშება. სისტემაში მოდიფიცირებულ იქნა მოდული „განფასების ფუნქციონალი" და საანგარიშო პერიოდში მართვის სისტემის ტექნიკური მხარდაჭერით, განხორციელდა 399 ახალი მოდულის განფასება.

მოდულის განფასებაზე პასუხისმგებელი პირებისთვის, სისტემაში შეიქმნა დაწესებულების მიერ ატვირთული მასალებისა და ინვოისების წაშლის ფუნქციონალი.

პროფესიულ პროგრამაზე მიღება და რეგისტრაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებში" შეტანილი ცვლილების შესაბამისად, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში 2025 წელს მიღება ორჯერ გამოცხადდა. საგაზაფხულო მიღება გამოცხადდა გაზრდილი კვოტების გათვალისწინებით – 9 081 თავისუფალ ადგილზე, ხოლო საშემოდგომო მიღების ფარგლებში, ასევე გაზრდილი კვოტების გათვალისწინებით, შეთავაზებული იყო - 16 258 თავისუფალი ადგილი.

- სარეგისტრაციო სისტემის (vet.emis.ge) მეშვეობით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საგაზაფხულო მიღების ფარგლებში დარეგისტრირდა 11 465 აპლიკანტი, ხოლო საშემოდგომო მიღების ფარგლებში - 23 657 აპლიკანტი.
- შერჩევის პროცედურებისა და შედეგების საფუძველზე სისტემაში ჩამოყალიბდა რეიტინგული სიები, რის შედეგადაც საგაზაფხულო მიღების ფარგლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა - 6 210 პროფესიული სტუდენტი, ხოლო საშემოდგომო მიღების ფარგლებში - 12 263 პროფესიული სტუდენტი.
- სისტემაში დაემატა 64 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელთა მიერ გამოცხადდა მიღება 64 იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. აღნიშნულ პროგრამებზე სწავლას განაგრძობს 900-ზე მეტი სკოლის მოსწავლე.
- დასრულდა Vet.emis.ge-სა და vet.ge-ს ინტეგრაციის პროცესი და განახლებული სარეგისტრაციო სისტემა გაეშვა სატესტო რეჟიმში, რომლის მეშვეობით მიმდინარეობს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე აპლიკანტთა რეგისტრაცია. სისტემაში დარეგისტრირდა 485 ახალი მომხმარებელი.

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების სისტემის ადმინისტრირება

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების სისტემის ადმინისტრირება, მათ შორის, იურიდიული პირების, პერსონალის, პროგრამებისა და ნაკადების შესახებ მონაცემების წარმოება, ასევე იურიდიული პირის მიერ პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სისტემაში რეგისტრაციის პროცესის მხარდაჭერა. 2025 წელს სისტემის მეშვეობით შემუშავდა 346-ზე მეტი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამა.

2025 წელს სისტემაში შეიქმნა და მიღება გამოცხადდა 500-ზე მეტ ნაკადზე, რის შედეგადაც ჩაირიცხა 10 000-ზე მეტი მსმენელი.

შეიქმნა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებში ცვლილების შეტანის, მისაღები ადგილების ზღვრული ოდენობის გაზრდისა და პროგრამაში განხორციელებული სხვა სახის ცვლილებების ავტომატიზაციისათვის საჭირო ფუნქციონალი.

„პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების" შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №71/ნ ბრძანების შესაბამისად, სისტემაში შეიქმნა დახურული მიღების ფარგლებში აპლიკანტთა რეგისტრაციისთვის საჭირო ფუნქციონალი.

უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრირება და გაუმჯობესება

საანგარიშო წლის განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოების გადაწყვეტილებების მართვის სისტემაში ასახვა. შესაბამისად, განხორციელდა ინფორმაციის განახლება/დასუფთავება საგანმანათლებლო დაწესებულებების იურიდიული პროფილებისა და მათ მიერ განხორციელებული აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ჭრილში. კერძოდ, მართვის სისტემაში ასახულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 315 გადაწყვეტილება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 18 გადაწყვეტილება. აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს მუდმივ რეჟიმში.

უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით განსახორციელებელი პროცესების ეფექტური ადმინისტრირების მიზნით, უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული ინფორმაციის მონიტორინგის წესის შესაბამისად, განხორციელდა სამი გეგმიური მონიტორინგი, გაანალიზდა მონაცემები, განხორციელდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კომუნიკაცია, შესაბამისი მონაცემების დაზუსტების მიზნით.

საანგარიშო პერიოდში დამუშავდა 61 200-ზე მეტი პირის მონაცემები და უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში აისახა ინფორმაცია ფიზიკური პირისათვის სხვადასხვა მეთოდით სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე. სისტემატურად ხორციელდება სახელმწიფოს მიერ სტუდენტებისათვის განკუთვნილი სხვადასხვა პროექტის ხელშეწყობა, მათ შორის, (ID) ბარათების, სამგზავრო ბარათებისა და სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის, სტუდენტური დაზღვევის ბენეფიციართა შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ახალი უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის - eUni-ს შექმნის მხარდაჭერა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, საგანმანათლებლო პროგრამების და პერსონალის მოდულების შექმნისათვის განხორციელდა ბიზნესპროცესისა და ტექნიკური დავალების რევიზია და კორექტირება, პროგრამული უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, ასევე დაწესებულებების მოდულის გაშვებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა.

უმაღლესი განათლების მიმართულებით მონაცემების დამუშავების, სტატისტიკის წარმოებისა და ანალიტიკის გაუმჯობესების მიზნით, Qlik სისტემის გამოყენებით შეიქმნა მონაცემთა ვიზუალიზაციის, დამუშავებისა და ექსპორტირების შესაძლებლობა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების, სტუდენტების, დაფინანსების უფლების მინიჭების მონაცემებისა და სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრო და პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსების ჭრილებში.

სტუდენტთა მობილობა

საანგარიშო პერიოდში სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო სტუდენტთა მობილობის პროცესების ადმინისტრირება და შესაბამისი მონაცემების დამუშავება. 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მობილობის ფარგლებში, სპეციალური ანკეტა-კითხვარის მეშვეობით, მართვის სისტემამ დაადასტურა 47 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 884 საგანმანათლებლო პროგრამა. მობილობის ელექტრონული პორტალით ისარგებლა 2 735 მობილობის მსურველმა სტუდენტმა, მობილობით გადასვლის უფლება მოიპოვა 2 451 სტუდენტმა, ხოლო ჩარიცხვის შესახებ დასკვნა გაიცა 2 120 სტუდენტზე.

2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის ფარგლებში სპეციალური ანკეტა-კითხვარის მეშვეობით, მართვის სისტემამ დაადასტურა 52 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 918 პროგრამა. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის პროცესების ადმინისტრირება და ჩართული დაინტერესებული მხარეების ხელშეწყობა. მობილობის ელექტრონული პორტალით ისარგებლა 5 895 მობილობის მსურველმა სტუდენტმა, მობილობით გადასვლის უფლება მოიპოვა 4 669 სტუდენტმა, ხოლო ჩარიცხვის შესახებ დასკვნა გაიცა 4 077 სტუდენტზე.

2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში მიღების გამოცხადების მიზნით, 61 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანკეტა-კითხვარების საფუძელზე, დამუშავდა და კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურდა 832 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მიეწოდა სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს. ამასთან, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მონაცემების განახლება მიმდინარეობდა მუდმივ რეჟიმში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

2025 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ფარგლებში მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების მიზნით, 48 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანკეტა-კითხვარების საფუძველზე თებერვლის ეტაპზე დამუშავდა და დადასტურდა 529 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია, ხოლო „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებით დამტკიცებული „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, 48-მდე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანკეტა-კითხვარების საფუძველზე, დამუშავდა და დადასტურდა 533 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია.

აბიტურიენტთა ინფორმირების მიზნით, დამუშავდა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს მიეწოდა ინფორმაცია 2026 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებით აბიტურიენტთა მიღებისათვის გამოცხადებული 61 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 832 სავარაუდო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

2025 წლისათვის მასწავლებლის მომზადების ერთწლიან საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით, სპეციალური ელექტრონული ანკეტა-კითხვარის მეშვეობით უზრუნველყოფილ იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პროგრამებისა და მისაღები ადგილების, მათ შორის, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ადგილების რაოდენობის წარმოდგენა, მართვის სისტემის მიერ მონაცემთა გადამოწმება და დადასტურება, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ასევე, მართვის სისტემის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გადამოწმდა და დადასტურდა 18 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების 144 მოდულის შესახებ ინფორმაცია. საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, ელექტრონულ პროგრამაში დაემატა სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისა და ჩარიცხვის ფუნქციონალი, რომლის მეშვეობითაც მიღების პროცესი განხორციელდა სამი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამ პროგრამაზე.

2025-2026 სასწავლო წელს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მოწოდებულ იქნა მასწავლებლისა და სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული 1 433 პირის შესახებ ინფორმაცია, რომელიც, სისტემაში ასახვამდე, გადამოწმდა სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში, მათ მიერ ჩაბარებული საგნობრივი გამოცდების მონაცემების საფუძველზე.

უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების გაანგარიშების ადმინისტრირება და დაფინანსების მინიჭების პროცესის მხარდაჭერა

სახელმწიფო სასწავლო გრანტის, სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტისა და სამინისტროს მიერ გაცემული პროგრამული დაფინანსების, მათ შორის, იმ პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების მიზნით, რომელთა სწავლას სრულად ანაზღაურებს სახელმწიფო, განხორციელდა დაფინანსების თანხების გაანგარიშება და სამინისტროს წარედგინა ინფორმაცია 2025 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, სახელმწიფო გრანტის ფარგლებში გასაცემი 49 309 097,5 ლარამდე ოდენობის თანხის შესახებ, ხოლო 2025 წლის 1/15 ნოემბრის მდგომარეობით, გაანგარიშდა და სამინისტროს წარედგინა ინფორმაცია 30 397 687 ლარამდე ოდენობის თანხის შესახებ. ამავე თარიღების მიხედვით, პრიორიტეტული დაფინანსების ფარგლებში გაანგარიშდა და სამინისტროს წარედგინა ინფორმაცია - 20 000 000 ლარამდე თანხის შესახებ, ხოლო შემდგომში - 19 000 000 ლარამდე ოდენობის თანხის შესახებ. ამის გარდა, 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, აბიტურიენტთათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების მიზნით, კანონმდებლობით

დადგენილი წესით, დამუშავდა და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს მიეწოდა ინფორმაცია 36 785 აბიტურიენტის მიერ წარსულში გრანტით სარგებლობის შესახებ.

2025 წლის საგრანტო კონკურსის საფუძველზე, სტუდენტთათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაუმჯობესების მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამუშავდა და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს მიეწოდა ინფორმაცია 1 757 სტუდენტის გრანტით სარგებლობის შესახებ. სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ, 2025 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე სწავლის გაგრძელების უფლება მინიჭებულ პირთათვის, სახელმწიფო სამაგისტრო გრანტის მინიჭების მიზნით, დამუშავდა ინფორმაცია 5 647 სტუდენტის შესახებ.

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ 2025 წელს სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მინიჭების მიზნით, ბაკალავრიატის საფეხურზე დამუშავდა ინფორმაცია 3 245 სტუდენტის, ხოლო მაგისტრატურის საფეხურზე - 104 სტუდენტის შესახებ, მათ მიერ მოპოვებული და გამოყენებული სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და პროგრამების აკრედიტაციის ჭრილში.

2025 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებულ სტუდენტთა დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, პირველ და მეორე საფეხურზე, გაანგარიშდა და სამინისტროს მიეწოდა თანხების შესახებ ინფორმაცია შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადარიცხვის მიზნით, ჯამში 1 484 212.5 ლარის ფარგლებში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2025 წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სპეციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მინიჭების მიზნით, ბაკალავრიატის საფეხურზე დამუშავდა ინფორმაცია 42 სტუდენტის, ხოლო მაგისტრატურის საფეხურზე - 2 სტუდენტის შესახებ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა მიერ მოპოვებული სახელმწიფო დაფინანსების ადმინისტრირების პროცესის ავტომატიზაციის მიზნით, სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში განხორციელდა მონაცემთა დამუშავება და არსებული ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრა შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობით.

პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში დაფინანსების პროცესის ავტომატიზაციის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ასევე განხორციელდა მონაცემთა დამუშავება, პროგრამული უზრუნველყოფის გადაწყვეტა და არსებული ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრა შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობით.

განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების/მიღებული განათლების აღიარების პროცესის მხარდაჭერა და ციფრული არქივი

საქართველოში გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და საქართველოში მიღებული განათლების აღიარების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, აგრეთვე, სხვა დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციების მოთხოვნის საფუძველზე, საანგარიშო პერიოდში მომზადდა 1 200-ზე მეტი დასკვნა. პარალელურად, სისტემატურად მიმდინარეობდა კორესპონდენციების მომზადება საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და შესაბამისი დასკვნების დაინტერესებული პირებისთვის მომზადების მიზნით. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსების შესახებ შექმნილი ციფრული არქივის ხარვეზების აღმოფხვრა.

პლატფორმაზე ასახულია ინფორმაცია 1 828 საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ. ციფრულ არქივში მონაცემების განახლება მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოების გადაწყვეტილებების შესაბამისად.

სტატისტიკა

საქართველოს განათლების სისტემაში საგანმანათლებლო სტატისტიკის წარმოებისა და გავრცელების მიმართულებით განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

- ყოველწლიური სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშება და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისთვის მიწოდება სტატისტიკური პროგრამის ფარგლებში;
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური პროგრამის სტატისტიკურ სამუშაოთა მოცულობისა და სამოქმედო გეგმების პროექტების შესწავლა და, კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი წინადადებების მომზადება;
- საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის (Unicef, Transmone და სხვ.) წარსადგენი განათლების მაჩვენებლების გაანგარიშება და ანგარიშების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან თანამშრომლობა ახალი სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშების მიმართულებით;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ვაუჩერული დაფინანსების მონაცემების დამუშავება და დადგენილი წესის შესაბამისად განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის მიწოდება;
- საჯარო სკოლების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების, ექიმების/ექთნების, ბილინგვური სწავლების სპეციალისტების დაფინანსებისთვის საჭირო მონაცემების ყოველწლიური დამუშავება და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის დადგენილი წესის შესაბამისად მიწოდება;
- მიმდინარეობდა განათლების სფეროში სახელმწიფო სოციალური პროგრამების ბენეფიციართა მონაცემების განახლება და შესაბამისი სტრუქტურებისთვის მიწოდება დადგენილი ვადების შესაბამისად;
- თბილისის მუნიციპალური ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის უფლებით სარგებლობისთვის თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურისთვის თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებულ საჯარო სკოლებში და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული პირების შესახებ მონაცემების მიწოდება;
- მონაცემთა ანგარიშგებისა და ვიზუალიზაციის სისტემის (QlikSense) გამოყენება განათლების სისტემაში სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ხელშეწყობისათვის, რაც უზრუნველყოფდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სრულ, ასევე პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების ანალიტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობას. ამ სისტემის მეშვეობით წარმოჩინდა ასევე, უმაღლესი განათლების საგრანტო დაფინანსების მონაცემები;
- PowerBI-ის თანამედროვე ვიზუალიზაციის პროგრამის გამოყენების დაწყება, მონაცემთა ანგარიშგებისა და ინტერაქტიული გრაფიკების შექმნის მიზნით, რაც უზრუნველყოფს განათლების სისტემაში არსებული სტატისტიკური ინფორმაციის სრულყოფილ ანალიზს,

ვიზუალიზაციას და განათლების სისტემაში სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობას, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ხელშეწყობის მიზნით;

- მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის ფარგლებში, 2025-26 სასწავლო წლისთვის ბენეფიციართა რაოდენობის შეფასება, საჯარო სკოლებში საჭირო სახელმძღვანელოებისა და და საჯარო სკოლებში მოსწავლეთა პროგნოზული რაოდენობის განსაზღვრა;
- ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სტატისტიკური მონაცემების გეგმიური დამუშავება და დაინტერესებულ პირებზე მიწოდება;
- ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკის დოკუმენტების შესაბამისი სამოქმედო გეგმების ფარგლებში განსაზღვრული ინდიკატორების შესაბამისად, მონაცემების დამუშავება და წარდგენა როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე მაკოორდინირებელ უწყებებთან;
- გრძელდებოდა სივრცითი ანალიზის კომპლექსური ინსტრუმენტების გამოყენებით ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერება, გეოსაინფორმაციო სისტემის (GIS) განვითარება, თემატური რუკების შექმნა და სკოლების რუკებზე მონიტორინგი, რაც უზრუნველყოფს სივრცითი და ინფრასტრუქტურული გადაწყვეტილებების ინფორმაციულ მხარდაჭერასა და მოდელირებას;
- სივრცითი მონაცემების ეროვნული ინფრასტრუქტურის პროექტებში მონაწილეობა და ეროვნულ სივრცით მონაცემთა პორტალზე მონაცემების განახლება;
- სკოლების საჯარო პორტალში ვებ რუკების ინტეგრირება, რაც იძლევა სკოლების ადგილმდებარეობის და სკოლების გარშემო მყოფი მნიშვნელოვანი ობიექტების ციფრულ რუკაზე ნახვის საშუალებას;
- საჯარო სკოლების ინტერნეტთან წვდომის რუკების შექმნა (კავშირის ტიპი, სიჩქარე, სკოლების გაფილტრვა ინტერნეტ კავშირის მონაცემებით);
- საჯარო სკოლების 5, 10, 15, 20, 30 და 40 წუთიანი ფეხით სავალი მომსახურების არეალების გამოთვლა; განახლდა https://educationingeorgia.ge/ ვებ-პორტალი, რომელიც აღიჭურვა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ონლაინ რუკებით;
- სტუდენტთა განაწილების ანალიზი საქართველოს რეგიონების უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში და შესაბამისი ანალიტიკური რუკების მომზადება;
- სკოლების დატვირთულობის შეფასება, ვებ-რუკების მომზადება თითოეული სასწავლო საფეხურისთვის, სმენების რაოდენობის და კლასში მოსწავლეთა საშუალო რაოდენობის მიხედვით;
- საქართველოს პარლამენტის განათლების კომისიისთვის, მოსწავლეთა მგზავრობის (მიგრაციის) ანალიზის განხორციელება თბილისის უბნებს შორის. 2025 წლის მონაცემების შედარება 2020 წლის შედეგებთან, შესაბამისი რუკების შემუშავება. ამავე პერიოდში განხორციელდა სახელმწიფო საზღვართან ახლოს განლაგებული სკოლების რუკების მომზადება;
- „სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N573 დადგენილებაში, 2023 წლის 15 აგვისტოს შესული ცვლილების შესაბამისად, სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგის მეორე ციკლის ფარგლებში ინფორმაციის მიმოცვლა და სიების დამუშავება

ჩართულ შესაბამის უწყებებთან და შემდგომი რეაგირებისათვის განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროში გადაგზავნა;

- პირველკლასელთა რეგისტრაციის პროცესზე დაკვირვება 2025-26 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, მონაცემების ასახვა და განახლება ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool), ასევე შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების მომზადება და მიწოდება;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული ინფორმაციის სისწორის ყოველწლიური მონიტორინგი, მონიტორინგის წესის მიხედვით, შესაბამისი სინტაქსების შექმნა, ხარვეზების გამოვლენა და დეტალური ანგარიშების მომზადება.

კომპიუტერული სისტემები და ქსელები

საქართველოს განათლების სისტემაში ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და სასწავლო პროცესში მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- დასრულდა და ექსპლუატაციაში გაეშვა როგორც მთავარი, ასევე სარეზერვო მონაცემთა ცენტრის ფიზიკური გაფართოება, რაც უზრუნველყოფს დამატებით სერვერული და მონაცემთა სანახი სიმძლავრეების დამატების საშუალებას;
- საჯარო სკოლებში შეიცვალა 700 მარშრუტიზატორი თანამედროვე (Nex Gen) ფაირვოლებით (ჯამურად 1 700-მდე საჯარო სკოლა);
- უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისობის გათვალისწინებით განხორციელდა დამატებით ვებ-აპლიკაციის კონტეინერულ სისტემაზე გადაყვანა;
- განხორციელდა ვირტუალიზაციის გარემოს სრული განახლება, მოხდა როგორც VMware vCenter-ის და vxrail manager-ის, ასევე გარემოში არსებულ კლასტერში შემავალი 18 სერვერის ოპერაციული სისტემის განახლება;
- პროგრამული უზრუნველყოფის პროცესების ეფექტური და უსაფრთხო წარმართვის მიზნით, დაიგეგმა და განხორციელდა სატესტო გარემოს ახალი სანახი სისტემის შესყიდვა/იმპლემენტაცია;
- დაიგეგმა და განხორციელდა ცენტრალიზებული ელექტრონული გამოცდების ორგანიზება და ტექნიკური მხარდაჭერა (პროფესიული, ექსტერნის გამოცდების, ასევე, გამოცდების და შეფასების ეროვნული ცენტრისა და სხვა სააგენტოების/სსიპ-ების მიერ ადმინისტრირებული ტესტირების მხარდაჭერა და ტექნიკური უზრუნველყოფა);
- დაინერგა საჯარო სკოლების IT ინფრასტრუქტურის მართვის და ინციდენტების/მოთხოვნების ახალი სისტემა. განხორციელდა აღნიშნული სისტემის პროვაიდერის ინციდენტების სისტემასთან ინტეგრაცია;
- დაიგეგმა და გახორციელდა საჯარო სკოლებისა და რესურსცენტრების ინტერნეტ კავშირების განახლება. კერძოდ, გაუმჯობესდა კავშირების სიჩქარეები ფაქტიურად 2-ჯერ ყველა წერტილზე. ნაცვლად 10/20/30 მბ/წ-სა რადიო კავშირზე - შეიცვალა 30/50 მბ/წ-ით, ხოლო ოპტიკურ ბოჭკოვანი კავშირის შემთხვევაში - 50/100 მბ/წ -დან 100/200 მბ/წ -დე. ასევე 500-მდე სკოლაში განხორციელდა კავშირების ტიპების განახლება უფრო სტაბილურ და მაღალგამტარიან ტიპზე;

- დაიგეგმა და მიმდინარეობს 347 საჯარო სკოლაში ცენტრალიზებული უკაბელო სისტემების ინსტალაცია;
- დაიგეგმა და განხორციელდა საჯარო სკოლებში არსებული კომპიუტერული ტექნიკის ოპერაციული სისტემების განახლება უახლეს ვერსიაზე.

ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოება

საანგარიშო პერიოდში სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში განხორციელდა ინფორმაციული და კომპიუტერული უსაფრთხოების მიმართულებით ღონისძიებები საქართველოს „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ კანონისა და საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტის, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის (Information Security Managent System - ISO 27001) მოთხოვნების შესაბამისად:

- ჩატარდა ინფორმაციული უსაფრთხოების კომიტეტის ორი სხდომა;
- შემუშავდა ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემდეგი დოკუმენტები:
  - ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის კონტექსტი;
  - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დოკუმენტების კლასიფიკაციისა და მარკირების წესი;
  - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის რისკების მართვა;
  - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა;
  - ინფორმაციული აქტივების რეესტრი.
- განახლდა ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემდეგი დოკუმენტები:
  - სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვის სამოქმედო გეგმა;
  - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის გავრცელების სფერო;
  - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ინფორმაციული ტექნოლოგიების პროცესების ცვლილებების მართვის წესი.
- ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის კომიტეტისა და სამუშაო ჯგუფის წევრებთან ერთად, სამუშაო შეხვედრების ფორმატში, მიმდინარეობდა ინფორმაციულ აქტივებზე რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და შესაბამისი რეესტრის შემუშავება მართვის სისტემაში არსებული რისკების მართვის დოკუმენტის შესაბამისად;
- განახლდა ქსელური სენსორი უახლეს სტაბილურ ვერსიაზე;
- განახლდა ქსელური სენსორის ანგარიშგების მოდული და დაემატა, ვებ სერვისებზე მიღებული პოტენციური შეტევების რეპორტის გენერაცია, მარეგულირებელთან შეტყობინების მიზნით;
- განხორციელდა ქსელური სენსორის ინტეგრაცია პერიმეტრის ფაერვოლთან, რაც მოიცავს კორელაციის შედეგად მიღებული მაკომპრომეტირებელი ინდიკატორების (IoC), კერძოდ IP მისამართების სინქრონიზაციას;

- დაიგეგმა კრიტიკული ინფორმაციული სისტემების მოწყვლადობების მონიტორინგი ე.წ. აგენტზე დაფუძნებული პრინციპით, რაც საშუალებას იძლევა რეალურ დროში ინფორმაციის მიღებას მოწყვლადობებზე.

საანგარიშო პერიოდში სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- დამტკიცდა „სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ აუდიომონიტორინგის განხორციელების წესი“;
- დამტკიცდა „სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი“;
- დამტკიცდა „სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი ინციდენტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისათვის შეტყობინების წესი“;
- შემუშავდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ, მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტი;
- მომზადდა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის შემუშავების მეთოდოლოგია, შესაბამისი კრიტერიუმების გათვალისწინებით;
- შემუშავდა დოკუმენტი „თანამშრომლის პერსონალური მონაცემების, მათ შორის, ფოტოსურათის, მართვის სისტემის ვებგვერდსა და სოც.ქსელში დამუშავებაზე“, მოხდა შესაბამისი ინფორმირებული თანხმობების მოპოვება;
- შემუშავდა „სამუშაო სივრცის ვიდეომონიტორინგის ხედვის არეალში მოხვედრის თაობაზე ინფორმირების დოკუმენტი“, რომელსაც გაეცნენ შესაბამისი თანამშრომლები;
- მომზადდა vet.emis.ge პორტალზე მომხმარებლების რეგისტრაციის ეტაპზე განსათავსებელი პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ თანხმობის ფორმა/პოლიტიკა;
- მომზადდა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა სოც.ქსელის Facebook საინფორმაციო ჯგუფში „ელექტრონული ჟურნალის მხარდაჭერა“ მომხმარებლების გაწევრიანებისას;
- მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებთან გაფორმდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისი ხელშეკრულებები.

სხვადასხვა სამუშაო პროცესები

საანგარიშო პერიოდში სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიმდინარეობდა დებულებითა და მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობების რეგულარული შესრულება, მათ შორის:

ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულებები

- სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის კომპეტენციის ფარგლებში განხორციელდა წლიური და კვარტალური ანგარიშგება ეროვნული და დარგობრივი

სტრატეგიებითა და სახელმწიფო სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებზე;

- წლის განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის კომპეტენციის ფარგლებში სტრატეგიული დოკუმენტების მომზადებაში მონაწილეობა და სისტემის პოზიციონირება ეროვნული პოლიტიკის დონეზე;
- მომზადდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში;
- განახლდა ევროკომისიის მიერ საქართველოს პროგრესის შეფასების მიზნით მოთხოვნილი ინფორმაცია, ე.წ. გაფართოების პაკეტის ფარგლებში (EU Enlargement Package);
- მომზადდა ინფორმაცია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის (ევროსტატი, UNESCO, ILO, მსოფლიო ბანკი და სხვ.) მიერ შემუშავებული კითხვარებისა და ანგარიშების ფარგლებში.,

საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა

- მსოფლიო ბანკის პროექტის „ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი – საქართველო (I2Q)“ ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნა ჩართულობა პროექტის ოთხივე კომპონენტში:
  - კომპონენტი 1 – ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
  - კომპონენტი 2 – ხარისხის სწავლისა და სწავლების ხელშეწყობა ზოგად განათლებაში;
  - კომპონენტი 3 – უმაღლესი განათლების სფეროში დაფინანსების შესაძლებლობების გაუმჯობესება და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
  - კომპონენტი 4 – განათლების მონაცემთა სისტემების განვითარება, დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისა და კოორდინაციის გაძლიერება.
- ადამიანური კაპიტალის პროექტის (HCP) ფარგლებში მიმდინარეობდა საინფორმაციო სისტემის 2022-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგი და პერიოდული ანგარიშგება.
- საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსა და მსოფლიო ბანკისათვის წარდგენილ იქნა პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების კვარტალური ანგარიშგება და განსაზღვრული ინდიკატორების შესაბამისი ინფორმაცია.

კომუნიკაცია და მოქალაქეთა მომსახურება

- დაინტერესებული პირების ინფორმირება ხორციელდებოდა მართვის სისტემის ოფიციალური ვებგვერდისა და Facebook გვერდის მეშვეობით.
- ელ.ფოსტისა და Facebook მესენჯერის მეშვეობით წლის განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნა მოქალაქეთა მიმართვებზე პასუხის გაცემა, ჯამში 50 000-მდე კომუნიკაცია.

ცხელი ხაზის ადმინისტრირება

- საანგარიშო წლის მანძილზე ხორციელდებოდა მართვის სისტემაში მოქმედი ორი (ძირითადი ცხელი ხაზი და ტექნიკური ცხელი ხაზი) სატელეფონო ცხელი ხაზის ადმინისტრირება;

- ცხელი ხაზები უზრუნველყოფდა კონსულტაციების გაწევას მართვის სისტემის მიერ ადმინისტრირებადი ელექტრონული სისტემების ფუნქციონალის შესახებ (სამუშაო ჯგუფი), ინციდენტებისა და ხარვეზების აღრიცხვას და უკუკავშირის მიწოდებას. ძირითადი სატელეფონო ცხელი ხაზი (სამუშაო ჯგუფი) უზრუნველყოფდა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (e-Flow) დანერგვისა და ადმინისტრირების მხარდაჭერას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ერთეულებში, ასევე, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროსა და მათ სისტემაში შემავალ ორგანოებში;
- სატელეფონო ცხელი ხაზი უზრუნველყოფდა მართვის სისტემის მიერ ადმინისტრირებადი ელექტრონული სისტემების ფუნქციონალთან დაკავშირებით კონსულტაციების გაწევას, ასევე ამ სისტემებში დაფიქსირებული ხარვეზების ან ინციდენტების შესახებ სატელეფონო შეტყობინებებით მიღებული ინფორმაციის ასახვას შესაბამის ელექტრონულ სისტემაში და აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის თაობაზე უკუკავშირის მიწოდებას დაინტერესებული პირებისთვის.

პერსონალური მონაცემების დაცვა

- 2025 წლის 21 მარტიდან 6 ივნისის ჩათვლით მიმდინარეობდა თანამშრომლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან, პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმების ფარგლებში;
- უზრუნველყოფილ იქნა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმების (ინსპექტირების) ფარგლებში განსაზღვრული სამუშაოების შესრულება, მონიტორინგი და შესაბამისი კორესპონდენციის მომზადება. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტი გაზიარებულ იქნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან;
- განხილულ იქნა ფიზიკური პირების მართვის სისტემისთვის მომართვები, მონაცემთა სუბიექტის უფლებების განსახორციელებლად, შესაბამისი სამსახურების ჩართულობით კორესპონდენციების მომზადებისას, მართვის სისტემის მიერ მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის კომპეტენციის ფარგლებში რეკომენდაციები გაიცა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სხვადასხვა სამსახურებისა და მათი თანამშრომლებისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე, ასევე მონაცემთა გაზიარებაზე და სხვა რელევანტურ საკითხებზე;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის კომპეტენციის ფარგლებში, განხილულ იქნა სხვადასხვა საჯარო და კერძო დაწესებულებების მიერ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისგან პერსონალური მონაცემების გამოთხოვის შესახებ კორესპონდენციები, უზრუნველყოფილ იქნა შესაბამის შეხვედრებში მონაწილეობა და გაიცა რეკომენდაციები მონაცემების გაზიარების ან მათ გაზიარებაზე უარის შესახებ.

ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვა

- უზრუნველყოფილ იქნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ჩართვა სხვა საჯარო დაწესებულებებთან თანამშრომლობის თაობაზე ხელშეკრულებების პროექტების მომზადების პროცესში;
- უზრუნველყოფილ იქნა ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა და ანგარიშგება;
- შემუშავდა წლიური და საშუალოვადიანი ბიუჯეტის პროექტები, განხორციელდა მათი შესრულების კონტროლი;
- უზრუნველყოფილ იქნა ფულადი სახსრების მიზნობრივი ხარჯვა და მატერიალური ფასეულობების მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების კონტროლი;
- ხორციელდებოდა მართვის სისტემის ბალანზე რიცხული შენობა-ნაგებობათა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-განახლება;
- განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება და ანგარიშგება.